თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

# შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე №3/3441-13 | ააიპ „მწვანე ალტერნატივა" | ინგა კვაჭანტირაძე
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) | მოსამართლის სახელი და გვარი

**მოპასუხე:** შენიშვნა 1

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი

თბილისი. გულუას ქ N 6
ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა 2

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.
2727239
სამსახურის ტელ.
მობილური
ფაქსი
press@moe.gov.ge
ელექტრონული ფოსტა

**მოპასუხის წარმომადგენელი:** შენიშვნა 3

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:** შენიშვნა 4

ნანა ზამთარაძე
სახელი, გვარი
სახლის ტელ.
599648949
მობილური
ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა 5

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი     პირადი ნომერი     იურიდიული მისამართი

ალტერნატიული მისამართი     სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.     სამსახურის ტელ.     მობილური     ფაქსი     ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-7*

**იცნობთ თუ არა სარჩელს?**

- დიახ ☐
- არა ☒
- ნაწილობრივ ☐

*შენიშვნა-8*

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

*შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11*

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

*შენიშვნა-12 შენიშვნა-13 შენიშვნა-14*

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-15

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-17

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-18

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-19 შენიშვნა-20 შენიშვნა-21

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვერ დაეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

სამინისტროს პოზიცია ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ გარემოებებს: პირველყოვლისა, შევეხებით მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ საქართველოს მთავრობის, როგორც კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პროცედურების დარღვევით ნორმატიული აქტის გამოცემის საკითხს. მიგვაჩნია, რომ ფორმალური თვალსაზრისით არ არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. უდავოა, რომ საქართველოს მთავრობაზე, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესები და მოთხოვნები, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში თავად კოდექსი ადგენს ამ საერთო წესებიდან განსხვავებულ რეგულაციებს და შესაბამისად უთითებს სხვა აქტებზე. კონკრეტულ შემთხვევაშიც, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიმართ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესებით და ავრცელებს საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებულ წესებს (მუხლი 103). „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომლის მომზადების, მიღებისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონითა და მთავრობის რეგლამენტით. ხოლო ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვის, სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი დგინდება მთავრობის რეგლამენტით. ამდენად, მთავრობა მოქმედებდა მისთვის

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილების მიღებისას იხელმძღვანელა ამ საკითხების მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

რაც შეეხება, გასაჩივრებული აქტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან მიმართების საკითხს, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის" თანახმად მემორანდუმის ზოგად პირობებში, კერძოდ, წინასამშენებლო ფაზაში ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულის გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებად განსაზღვრულია პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების ვალდებულება (მუხლი 7). ამდენად, ასეთი რეგულაციით უგულვებელყოფილი არ არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების პროცესში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს, ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრას, აგრეთვე მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების ინტეგრირებულ შეფასებას.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

## მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-23

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

## სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-28

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

ფურცელი-29

## თანდართული საბუთების ნუსხა

ფურცელი-30 ფურცელი-31

დანართი 1: „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი ნოზაძისთვის საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 17 დეკემბრის No-349 ბრძანების ასლი - 1 ფურცელი.

დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა: 1 ფურცელი

[redacted]

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | |
| არა | ☒ | რადგან |

[redacted]

15 წუთი რადგან

[redacted]

რა სხდომაში რადგან

[redacted]

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | |
| არა | ☒ | რადგან |

[redacted]

| | |
|---|---|
| ძირითად მისამართზე | დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00 |

[redacted]

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | |
| არა | ☒ | რადგან |

[redacted]

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| V [signature] | ირაკლი ნოზაძე | 24/12/2013წ. |

[redacted]

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიას (მისაღებში) მოსვლით ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060121375751613

## ბრძანება No-349

ქ. თბილისი — 17 / დეკემბერი / 2013 წ.

### საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი ნოზაძისთვის საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილეს ირაკლი ნოზაძეს მიენიჭოს საქართველოს საერთო სასამართლოებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მათ შორის, სარჩელის აღძვრის, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემის, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, სარჩელის ცნობის, სარჩელის საგნის შეცვლის, მორიგების, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენის, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღების უფლებამოსილება.

2. მინისტრის მოადგილის ირაკლი ნოზაძის არყოფნის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილებას ახორციელებს მინისტრის პირველი მოადგილე ნინო შარაშიძე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მჭედლიშვილისათვის საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსები დაცვის მინისტრის 2013 წლის 12 ივნისის No-61 ბრძანება.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) საჩივრის წარდგენის გზით, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ბ. ზიოაძის 2013 წლის 16 დეკემბრის №8918 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი — ხათუნა გოგალაძე